სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის

ბრძანება №95
2017 წლის 14 ივნისი

ქ. თბილისი

საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის/საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის წესის დამტკიცების შესახებ

„ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ საქართველოსა და ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის" შეთანხმების და საქართველოს საჰაერო კოდექსის 93-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე,

ვბრძანებ:

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული „საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის/საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის წესი".

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2017 წლის 1 ივლისიდან.

მუხლი 3

საქართველოში რეგისტრირებულ საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტს, რომელსაც გააჩნია ამ წესის ამოქმედებამდე გაცემული დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი (სადაზღვევო პოლისი), ამ წესის შესაბამისად სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ვალდებულება წარმოეშვება მოქმედი დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტის (სადაზღვევი პოლისის) ვადის გასვლის შემდეგ.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის
სააგენტოს დირექტორი **გურამ ჯალაღონია**

საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის/საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. ეს წესი არეგულირებს სამოქალაქო საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის და ავიაგადამზიდველის/მომსახურე ავიაგადამზიდველის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ფარგლებს.

2. წინამდებარე წესის მოქმედება ვრცელდება:

ა) საქართველოში რეგისტრირებულ საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტსა და ავიაგადამზიდველზე/მომსახურე ავიაგადამზიდველზე, რომელიც ახორციელებს ფრენებს საქართველოში, საქართველოდან სხვა ქვეყანაში, სხვა ქვეყნიდან საქართველოში, საქართველოს საჰაერო სივრცეში;

ბ) უცხო ქვეყნის საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტსა და ავიაგადამზიდველზე/მომსახურე ავიაგადამზიდველზე, რომელიც ახორციელებს ფრენებს საქართველოში, საქართველოდან სხვა ქვეყანაში, სხვა ქვეყნიდან საქართველოში, საქართველოს საჰაერო სივრცეში.

3. წინამდებარე წესის მოქმედება არ ვრცელდება:

ა) 20 კგ-ზე ნაკლები მაქსიმალური ასაფრენი მასის მქონე სამოდელო საჰაერო ხომალდზე;

ბ) ფეხით ასაფრენ საფრენ აპარატზე (პარაპლანებისა და დელტაპლანების ჩათვლით);

გ) დაბმულ აეროსტატზე;

დ) პარაშუტზე (საპლანერო პარაშუტის ჩათვლით);

ე) საქართველოს სახელმწიფო საჰაერო ხომალდებზე, რომლებიც გამოიყენება სამხედრო, საპოლიციო, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საბაჟო მიზნებისათვის და შეტანილია სახელმწიფო საჰაერო ხომალდების რეესტრში;

ვ) უცხო ქვეყნის სახელმწიფო საჰაერო ხომალდებზე, რომლებიც განსაზღვრულია „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

ზ) ფრანებზე.

4. ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ომისა და ტერორიზმის რისკებისგან დაზღვევის მოთხოვნა არ ვრცელდება 500 კგ-ზე ნაკლები მაქსიმალური ასაფრენი მასის მქონე საჰაერო ხომალდზე, პლანერის ჩათვლით და ზემსუბუქ საჰაერო ხომალდზე, რომელიც:

ა) არ გამოიყენება კომერციული მიზნებისათვის;

ბ) გამოიყენება ლოკალური ფრენის ინსტრუქტირებისათვის და არ გადაკვეთს საქართველოს საზღვარს.

5. ამ წესის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები არ ვრცელდება უცხო ქვეყნის იმ საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტებსა და ავიაგადამზიდველებზე/მომსახურე ავიაგადამზიდველებზე, აგრეთვე საქართველოს ფარგლებს გარეთ რეგისტრირებულ საჰაერო ხომალდებზე, რომლებიც ახორციელებენ საქართველოს საჰაერო სივრცის გამოყენებას, დაჯდომის გარეშე, გადაფრენის მიზნით.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 29 სექტემბრის ბრძანება №158 - ვებგვერდი, 02.10.2017წ.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის ბრძანება №125 - ვებგვერდი, 19.06.2024წ.

მუხლი 2. მიზანი
წინამდებარე წესის მიზანია სამოქალაქო საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტისათვის და ავიაგადამზიდველისათვის/მომსახურე ავიაგადამზიდველისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ფარგლების განსაზღვრა, მგზავრის, ბარგის, ტვირთის და მესამე პირის მიმართ.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტებები
წესში გამოყენებულ ტერმინებს, ამ წესის მიზნებისათვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
ა) ავიაგადამზიდველი – საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის მფლობელი;

ბ) საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს საჰაერო ხომალდის ექსპლუატაციას;

გ) მაქსიმალური ასაფრენი მასა (MTOM) – საჰაერო ხომალდის მაქსიმალური სერტიფიცირებული ასაფრენი მასა, რომელიც დადგენილია საჰაერო ხომალდის შესაბამისი სერტიფიკატებით;

დ) მესამე პირი – ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, გარდა მგზავრისა და საჰაერო ხომალდის ეკიპაჟისა;

ე) მომსახურე ავიაგადამზიდველი – ავიაგადამზიდველი, რომელიც უშუალოდ ახორციელებს გადაყვანა-გადაზიდვას;

ვ) სესხების სპეციალური უფლება (SDR) – საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გამოშვებული საერთაშორისო სარეზერვო აქტივები, რომლებიც ნაწილდება მის წევრ-სახელმწიფოებზე კვოტის პროპორციულად;

ზ) ფრენა:

ზ.ა) მგზავრისთვის და არარეგისტრირებული ბარგისთვის – მგზავრის საჰაერო ხომალდით

ტრანსპორტირების დრო, ჩასხდომისა და გადმოსხდომის ჩათვლით;

ზ.ბ) ტვირთისთვის და რეგისტრირებული ბარგისთვის – ტვირთის და რეგისტრირებული ბარგის საჰაერო ხომალდით ტრანსპორტირების დრო, ავიაგადამზიდველისათვის/მომსახურე ავიაგადამზიდველისათვის ტვირთისა და ბარგის გადაცემის მომენტიდან, მიმღებისათვის მიწოდებამდე;

ზ.გ) მესამე პირისთვის – საჰაერო ხომალდის გამოყენების დრო მიმოსვლის დასაწყებად ან აფრენის მიზნით ძრავის გაშვების მომენტიდან, მიწის ზედაპირზე ძრავების სრულად გაჩერების მომენტამდე, ან საჰაერო ხომალდის გადაადგილება საბუქსირე ან უკანა სვლით, ან/და იმ ძალის საშუალებით, რომელიც ტიპურია საჰაერო ხომალდის მართვისა და აწევისათვის, როგორიცაა ჰაერის ნაკადი;

თ) მგზავრი – პირი, რომელიც მონაწილეობს ფრენაში საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის ან ავიაგადამზიდველის/მომსახურე ავიაგადამზიდველის თანხმობით, გარდა საჰაერო ხომალდის ეკიპაჟისა;

ი) კომერციული ფრენა - დაქირავებით ან ანაზღაურების სანაცვლოდ განხორციელებული ფრენა.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის ბრძანება №125 - ვებგვერდი, 19.06.2024წ.

მუხლი 4. სადაზღვევო ვალდებულებები

1. საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტი და ავიაგადამზიდველი/მომსახურე ავიაგადამზიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მგზავრის, ბარგის, ტვირთის და მესამე პირის მიმართ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა, ამ წესის მოთხოვნების შესაბამისად.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა უნდა ითვალისწინებდეს ომის, ტერორიზმის, საჰაერო ხომალდის გატაცების, საბოტაჟის, საჰაერო ხომალდის მართლსაწინააღმდეგო დაუფლების და სამოქალაქო არეულობის რისკებს.

3. საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტი და ავიაგადამზიდველი/მომსახურე ავიაგადამზიდველი ვალდებულია უზრუნველყოს ნებისმიერი ფრენის დაზღვევა, მიუხედავად იმისა, საჰაერო ხომალდს ფლობს საკუთრების უფლებით თუ იჯარის/ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე, ასევე ზიარი კოდის ან სხვა მსგავსი ხელშეკრულებით ოპერირების შემთხვევაში.

4. საქართველოში რეგისტრირებული საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის და ავიაგადამზიდველის/მომსახურე ავიაგადამზიდველის მიერ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში წარმოდგენილი დაზღვევის ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს მზღვეველის მიერ სააგენტოს დაუყოვნებლივ ინფორმირების ვალდებულებას სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ფარგლების, პოლისის შეჩერების, გაუქმების და სადაზღვევო ლიმიტების ცვლილების შესახებ.

5. მინიმალური დაზღვევის ვალდებულება შეადგენს:

ა) თითოეულ მგზავრზე – 250 000 SDR-ს;

ბ) 2700 კგ ან 2700 კგ-ზე ნაკლები მაქსიმალური ასაფრენი მასის მქონე საჰაერო ხომალდით არაკომერციული ფრენის შესრულებისას, თითოეულ მგზავრზე – 100 000 SDR-ს;

გ) ბარგზე – 1 519 SDR-ს თითოეულ მგზავრზე კომერციული ფრენისას;

დ) ტვირთზე – 26 SDR-ს თითოეულ კილოგრამზე კომერციული ფრენისას.

6. მესამე პირებთან დაკავშირებული ვალდებულებების გათვალისწინებით, მინიმალური სადაზღვევო მოცულობა (მილიონი SDR) საავიაციო შემთხვევისას შეადგენს:

ა) 500 კგ-ზე ნაკლები მაქსიმალური ასაფრენი მასის მქონე საჰაერო ხომალდებისათვის – 0,75;

ბ) 1000 კგ-ზე ნაკლები მაქსიმალური ასაფრენი მასის მქონე საჰაერო ხომალდებისათვის – 1,5;

გ) 2700 კგ-ზე ნაკლები მაქსიმალური ასაფრენი მასის მქონე საჰაერო ხომალდებისათვის – 3;

დ) 6000 კგ-ზე ნაკლები მაქსიმალური ასაფრენი მასის მქონე საჰაერო ხომალდებისათვის – 7;

ე) 12000 კგ-ზე ნაკლები მაქსიმალური ასაფრენი მასის მქონე საჰაერო ხომალდებისათვის – 18;

ვ) 25000 კგ-ზე ნაკლები მაქსიმალური ასაფრენი მასის მქონე საჰაერო ხომალდებისათვის – 80;

ზ) 50000 კგ-ზე ნაკლები მაქსიმალური ასაფრენი მასის მქონე საჰაერო ხომალდებისათვის – 150;

თ) 200000 კგ-ზე ნაკლები მაქსიმალური ასაფრენი მასის მქონე საჰაერო ხომალდებისათვის – 300;

ი) 500000კგ-ზე ნაკლები მაქსიმალური ასაფრენი მასის მქონე საჰაერო ხომალდებისათვის – 500;

კ) 500000 კგ ან 500000 კგ-ზე მეტი მაქსიმალური ასაფრენი მასის მქონე საჰაერო ხომალდებისათვის – 700.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, როდესაც საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის და/ან ავიაგადამზიდველის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა არ ითვალისწინებს ცალკეულ შემთხვევებში ომისა და ტერორიზმის რისკებისგან მესამე პირების დაზღვევას, საჰაერო ხომალდის ექპლუატანტი და ავიაგადამზიდველი/მომსახურე ავიაგადამზიდველი უფლებამოსილია აღნიშნული რისკები დააზღვიოს ერთიანი სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში.

7. ზემსუბუქი საჰაერო ხომალდებისა და თავისუფალი აეროსტატების სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ფარგლები განისაზღვრება შემდეგი მინიმალური ლიმიტებით:

ა) მესამე პირის მიმართ - 100 000 SDR;

ბ) თითოეული მგზავრების წინაშე - 100 000 SDR;

გ) თითოეული მგზავრის ბარგის წინაშე - 1 288 SDR;

დ) თითოეული კგ ტვირთის მიმართ - 22 SDR.

(მე-7 პუნქტი ძალაშია 2026 წლის პირველ იანვრამდე).

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 16 დეკემბრის ბრძანება №199 - ვებგვერდი, 23.12.2020წ.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის ბრძანება №125 - ვებგვერდი, 19.06.2024წ.

სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2024 წლის 13 დეკემბრის ბრძანება №282 - ვებგვერდი, 17.12.2024წ.

მუხლი 5. პასუხისმგებლობა ამ წესით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობაზე

1. პასუხისმგებლობა საქართველოში რეგისტრირებული საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის და ავიაგადამზიდველის/მომსახურე ავიაგადამზიდველის მიერ ამ წესის მოთხოვნების დარღვევისთვის განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. საქართველოს ფარგლებს გარეთ რეგისტრირებული საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის და ავიაგადამზიდველის/მომსახურე ავიაგადამზიდველის მიერ ამ წესით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა გამოიწვევს საქართველოს ტერიტორიაზე დაფრენის უფლებაზე უარის თქმას.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის ბრძანება №125 - ვებგვერდი, 19.06.2024წ.